ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № სშ/19–088

ქ. ბათუმი 2019 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, “ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა”, მისი დირექტორის თენგიზ შერვაშიძის სახით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, „ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე::

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების **CPV 32252000 (მომსახურებები** სამედიცინო ანალიზების სფეროში) კოდით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა.

1.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შპს „სანდასუფთავების“ 11 თამანშრომლებისათვის – გურამ წულუკიძე, ემზარ ლორთქიფანიძე, ბესიკ მსხალაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე, ლევან თავართქილაძე, ომარ მჯავანაძე, ჯაბა ვარშალომიძე, ამირან ქათამაძე, რეჯებ ბერიძე, მალხაზ მამულაძე და რევაზ ბოლქვაძეზე ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა ფორმა№ IV-100–ის გაცემა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ერთ ადამიანზე მომსახურების ღირებლება შეადგენს 30 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 330 (სამას ოცდაათი) ლარი.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დ.ღ.გ.–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს იმავე დღისა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა არაუმეტეს **30** დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.3. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შპს „სანდასუფთავების“ სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის სამსახურის უფროსი ნუგზარ ხაჯიშვილი.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და დროულობაზე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მოწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს „სანდასუფთავების“ დირექტორის მოადგილე ნარგიზ ფალავანდიშვილი.

7.2. ინსპექტირების მიზანია მოწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.02 % ოდენობით.
9.2 თუ პირგასამტეხლოს მთლიანი ჯამი გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 %–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინაადმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების ენა

13.1. ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 01 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	შპს ,,ქ.ბათუმის N1 პოლიკლინიკა”
მის: ქ. ბათუმი,	მის: ბათუმი
ჯავახიშვილის ქუჩა #55	აბუსერიძის ქ N2
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 245426392
სს ,,ლიბერთი ბანკი“	სს ,,თიბის ბანკი“
ბ/კოდი: LBRTGE22	ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა GE14LB0610005734020009	ა/ა GE05TB7370636080100001
შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს ,,ქ.ბათუმის N1 პოლიკლინიკა”**
დირექტორი	**დირექტორი**
დავით დუმბაძე	**თენგიზ შერვაშიძე**
_____	_____

"Batumi Polyclinic N1" Ltd

Подписано цифровой подписью: "Batumi Polyclinic N1" Ltd
Дата: 2019.05.27 14:36:43 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი დავით დუმბაძე და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის სამსახურის უფროსი ნუგზარ ხაჯიშვილი, ვადასტურებთ, რომ შპს ,,ქ.ბათუმის N1 პოლიკლინიკა”თან შპს ,,სანდასუფთავების“ 11 თამანშრომლებისათვის – გურამ წულუკიძე, ემზარ ლორთქიფანიძე, ბესიკ მსხალაძე, ვლადიმერ ჯიბლაძე, ლევან თავართქილაძე, ომარ მჯავანაძე, ჯაბა ვარშალომიძე, ამირან ქათამაძე, რეჯებ ბერიძე, მალხაზ მამულაძე და რევაზ ბოლქვაძეზე ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა ფორმა№ IV-100–ის გაცემის შესყიდვაში, 2019 წლის 27 მაისისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №ს/შ19-088, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი:

დავით დუმბაძე

შპს „სანდასუფთავება“-ს მატერიალური

სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის სამსახურის უფროსი

ნუგზარ ხაჯიშვილი

Nugzar Khajishvili

Подписано цифровой подписью:
Nugzar Khajishvili
Дата: 2019.05.27 14:46:01 +04'00'